<u>დანართი 2</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმა (2011–2012 წ.წ.)

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმა ემყარება შემდეგ პრიორიტეტებს:

- კვლევითი გარემო;
- სასწავლო გარემო;
- ინტერნაციონალიზაცია;
- კომპეტენციების განვითარება;
- პროფილი.

განვითარების ერთწლიანი სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმა გამოიხატება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- წარმატებული გარე შეფასებების;
- მონაწილეობა უნივერსიტეტების რანჟირების მსოფლიო სისტემაში;
- სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- მკვლევართა მობილობის ხელშეწყობა და რაოდენობის გაზრდა;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო სტრატეგიული ალიანსების გაძლიერება;
- კვლევითი გარემოს განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსური ჩარჩოს შექმნა;
- გრძელვადიანი კვლევითი პროგრამების შემუშავება;
- კვლევითი ბაზის გამოყენება კონსულტაციისათვის;
- ახალი, ინტერდისციპლინური და ფუნდამენტური სფეროების კვლევების გაძლიერება;
- ბიზნეს–საზოგადოებასა და უნივერსიტეტს შორის ტექნოლოგიებისა და კვლევითი ინოვაციების გადაცემის გაზრდა;
- აკადემიური პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება;
- მომავლის მოთხოვნების შესაბამისი ახალი აკადემიური პროგრამების შექმნა;
- უწყვეტი განათლების მნიშვნელობისა და ხარისხის ზრდა;
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გავლის უზრუნველყოფა;
- ლოჯისტიკისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების დახვეწა;
- მომხმარებელზე ორიენტირებული ადმინისტრაციული და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა;
- მიმდინარე და მომავალი ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასება და ახლებური გააზრება/დაგეგმვა;
- სხვადასხვა სფეროში ახლებური სისტემების შექმნა/გაუმჯობესება;

- თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ეფექტურ ფუნქციონირებას;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განვითარების გეგმის მომზადება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების გეგმის მომზადება;
- ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური შიდა სისტემების შემუშავება;
- საერთაშორისო ქსელებსა და ფორუმებში გაწევრიანება;
- საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობის გაზრდა;
- ინტერნაციონალიზაციის ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაძლიერება.